სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

03 აგვისტო, 2026 წ.

ბრძანება №01-12/139

ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის სტაჟიორთა

დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს შინაგანაწესის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის №02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ში სტაჟირების გავლის წესის“, „ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურში სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 09 ივლისის №01-10/74 ბრძანების, ,,ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 27 ივლისის N01-10/79 ბრძანებისა და ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის 2026 წლის 28 ივლისის N985427 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 09 ივლისის №01-10/74 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული კონკურსის შედეგად, <u>2026 წლის 04 აგვისტოდან 2026 წლის 05 ოქტომბრამდე</u> ვადით (2 თვე) ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურში **სტაჟიორებად** (ანაზღაურების გარეშე) **დაინიშნონ** შემდეგი პირები:

ა) **ზურაბ თევთიძე** - ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 სასწავლო წლის სტუდენტი (2025-2026 სასწავლო წელს);

ბ) **ნიკოლოზ ბარამიძე** - ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 სასწავლო წლის სტუდენტი (2025-2026 სასწავლო წელს).

2. სტაჟიორების სამუშაო განრიგი განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) **პირველი ცვლა** (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 09:00 სთ - 13:30 სთ) - ზურაბ თევთიძე;

ბ) **მეორე ცვლა** (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 13:30 სთ - 18:00 სთ) - ნიკოლოზ ბარამიძე.

3. სტაჟიორთა ხელმძღვანელად დაინიშნოს ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი - ზვიად ბერაძე და მის მიერ განსაზღვრული სამსახურის პერსონალი.
4. ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსს დაევალოს არაუგვიანეს 2026 წლის 05 ოქტომბრისა წარმოადგინოს სტაჟიორების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში.
5. ანაზღაურების გარეშე სტაჟირების პერიოდის გასვლის შემდეგ, სტაჟიორის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე **შეირჩევა ერთი** სტაჟიორი, რომელიც შესაძლოა დასაქმდეს ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურში, არაუმეტეს 6 თვის ვადით (ანაზღაურებადი სტაჟირება). დასაქმებული სტაჟიორის ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვრება არაუმეტეს 500 ლარით.

6. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: კონკურსები; ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აქტები).

7. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, შესაბამის ფაკულტეტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ადამიანური რესურსების მართვის სამსახურსა და სტაჟიორებს.
8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ბერაბ დიასამიძე